არ მიესალმოთ ებრაელებსა და ქრისტიანებს პირველებმა. თუ მათგან ვინმეს შეხვდებით გზაზე, აიძულეთ, რომ გაიაროს გზის ყველაზე ვიწრო ნაწილზე

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ მიესალმოთ ებრაელებსა და ქრისტიანებს პირველებმა. თუ მათგან ვინმეს შეხვდებით გზაზე, აიძულეთ, რომ გაიაროს გზის ყველაზე ვიწრო ნაწილზე».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აკრძალა იუდეველებსა და ქრისტიანებს პირველებმა მივესამლოთ, თუნდაც ისინი ისლამური სახელმწიფოს დაცვის ქვეშ (ზიმმი) იმყოფებოდნენ, მით უმეტეს სხვა ურწმუნოებს. მან ასევე აღნიშნა, რომ თუ გზაზე მათგან ვინმეს შევხვდებით, უნდა ვაიძულოთ, რომ გაიაროს გზის ყველაზე ვიწრო ნაწილზე. მორწმუნემ უნდა იმოძრაოს გზის შუაგულში, ხოლო ურწმუნომ უნდა დაუთმოს და გადავიდეს გვერდზე, რადგან მუსლიმი არასოდეს უნდა გამოავლენდეს სისუსტეს ან დამცირებულობას.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/5347